# საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

# MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030150008911413

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 251 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 251 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/62071

04 / ივლისი / 2013 წ.

სს. ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა
ეროვნული ცენტრის აღმასრულებელ დირექტორს
ბატონ მამუკა ჯაფარიძეს

ბატონო მამუკა,

თქვენი 2013 წლის 19 მარტის №31657 წერილის პასუხად, რომელიც შეეხებოდა ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების სადიაგნოსტიკო მასალის გამოყენებით, ,,მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მიკობაქტერიის კომპესატორული ევოლუცია და ეპისტაზი'' კვლევის ჩატარებას გაცნობებთ, რომ ბიოსამედიცინო კვლევის ოქმის ეთიკური შეფასებისათვის, სამინისტრომ მიმართა ბიოეთიკის ეროვნულ საბჭოს. როგორც საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ გივი ჯავაშვილის 2013 წლის 13 ივნისის №67430 წერილიდან ირკვევა, საბჭომ განიხილა საკითხი და მიზანშეწონილად მიიჩნია კვლევის ჩატარება, კვლევის ოქმის ფარგლებში.

თავის მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, გამოხატავს თანადგომას და მხარდაჭერას კვლევის განხორციელების პროცესში და გამოთქვამს მზადყოფნას შემდგომი თანამშრომლობისათვის.

დანართი: 4 ფურცელი.

პატივისცემით,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე

მარიამ ჯაში

საქართველოს
სს „ტუბერკულოზისა და
ფილტვის დაავადებათა
ეროვნული ცენტრი
შემოსულია № 1047/05
08 07 13

# ბიოეთიკის ეროვნული საბჭო

**National Council on Bioethics**

ბიოეთიკის ეროვნული საბჭო

საქართველო,
თბილისი, 0119
აკ. წერეთლის გამზ. N144

ელ–ფოსტა: gjavashvili@tsmu.edu

National Council on Bioethics

144 Tsereteli Avenue
Tbilisi-0119, Georgia

E-mail: gjavashvili@tsmu.edu

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს
ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ ლელა სერებრიაკოვას

ქალბატონო ლელა,

გაცნობებთ, რომ საქართველოს ბიოეთიკის ეროვნულმა საბჭომ განიხილა ბიოსამედიცინო კვლევის გეგმა „მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მიკობაქტერიის კომპენსატორული ევოლუცია და ეპისტაზი" საბჭოს 83–ე (2013 წლის მეორე) სხდომაზე 2013 წლის 6 ივნისს.

კვლევის ხელმძღვანელია (მთავარი მკვლევარი) პროფესორი სებასტიენ განიე, შვეიცარიის ტროპიკული და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინსტიტუტი, ბაზელი შვეიცარია, ხოლო ქართველი მკვლევარი პარტნიორია ქალბატონი რუსუდან ასპინძელაშვილი, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებების ეროვნული ცენტრის ტუბერკულოზის რეფერენს–ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

კვლევის გეგმის საფუძველია თქვენი ა.წ. 27 მარტის წერილი N01/25636 (ასლი თან ერთვის წინამდებარე წერილს).

საქართველოს ბიოეთიკის ეროვნულმა საბჭომ გასცა დადებითი დასკვნა და თანხმობა კვლევის ჩატარებაზე კვლევის ოქმის ფარგლებში.

დასკვნის ტექსტი თან ერთვის წინამდებარე წერილს.

პატივისცემით,

გივი ჯავაშვილი
ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე

6 ივნისი, 2013 წელი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
ტელ: 51 00 33
030118657636311

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
№ 67430
13 06 2013 წ.
4 ფურცელი
02-40

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL
AFFAIRS OF GEORGIA

KA030151595799213

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 251 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 251 15 05. E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/25636

27 / მარტი / 2013 წ.

ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს,
ბატონ გივი ჯავაშვილს

მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 29
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი,
პირველი კორპუსი, მე-6 სართული, საოჯახო მედიცინის
დეპარტამენტი

ბატონო გივი,

გეგზავნებათ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული ს.ს. "ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი"-ს აღმასრულებელი დირექტორის მამუკა ჯაფარიძის 2013 წლის 19 მარტის №31657 წერილი, რომელიც შეეხება "მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მიკობაქტერიის კომპესატორული ევოლუცია და ეპისტაზი" კვლევის ჩატარებას, დაავადებული პაციენტების სადიაგნოსტიკო მასალის გამოყენებით.

გთხოვთ, გაეცნოთ წერილს და შესაძლებლობისდაგვარად მოკლე ვადაში მოგვაწოდოთ რეკომენდაციები აღნიშნული კვლევის თაობაზე.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

დანართი 20 გვერდზე.

პატივისცემით,

ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი,
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

ლელა სერებრიაკოვა

# ბიოეთიკის ეროვნული საბჭო

National Council on Bioethics


ბიოეთიკის ეროვნული საბჭო

საქართველო,
თბილისი, 0119
აკ. წერეთლის გამზ. N144

ელ–ფოსტა: giavashvili@tsmu.edu

National Council on Bioethics

144 Tsereteli Avenue
Tbilisi-0119, Georgia

E-mail: giavashvili@tsmu.edu


## საბჭოს დასკვნა ბიოსამედიცინო კვლევის ოქმის ეთიკური შეფასების შესახებ

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, კერძოდ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" კანონის 107-ე მუხლის[1], ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ" კონვენციის მე-16 მუხლის, ზემოაღნიშნული კონვენციის დამატებით ოქმის „ბიოსამედიცინო კვლევის შესახებ", აგრეთვე ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს დებულების მე-2 თავის მე-5 პუნქტის საფუძველზე ბიოეთიკის ეროვნულმა საბჭომ განიხილა ქვემოთ მითითებული ბიოსამედიცინო კვლევის გეგმა[2]:

| | |
|---|---|
| <u>კვლევის დასახელება:</u> | „მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მიკობაქტერიის კომპენსატორული ევოლუცია და ეპისტაზი" |
| <u>მთავარი მკვლევარი:</u> | პროფესორი სებასტიენ განიე, შვეიცარიის ტროპიკული და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინსტიტუტი, ბაზელი შვეიცარია |
| <u>პარტნიორი მკვლევარი:</u> | რუსუდან ასპინძელაშვილი, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებების ეროვნული ცენტრის ტუბერკულოზის რეფერენს–ლაბორატორიის ხელმძღვანელი |

ბიოეთიკის ეროვნულმა საბჭომ ზემოხსენებული კვლევის თაობაზე იმსჯელა საბჭოს 83–ე (2013 წლის მეორე) სხდომაზე 2013 წლის 6 ივნისს.

საბჭომ დეტალურად შეისწავლა კვლევის გეგმა და მისი თანმხლები დოკუმენტები.

საბჭომ გაითვალისწინა, რომ კვლევა დაკვირვებითი ხასიათისაა და არ არის დაკავშირებული რაიმე ფიზიკურ ინტერვენციასთან. კვლევა წარმოადგენს საქართველოს პოპულაციის (ტუბერკულოზის დადასტურებული შემთხვევები) რეტროსპექტულ და პროსპექტულ მოლეკულურ ეპიდემიოლოგიურ კვლევას და მასში გამოიყენება რუტინული სამედიცინო პრაქტიკის დროს შეგროვებული მასალა და ინფორმაცია.

კვლევასთან ასოცირებული ეთიკური საკითხები ეხება შემდეგს:

ა) კვლევისათვის შეგროვებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველყოფა;

1 „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" კანონის 107-ე მუხლის თანახმად კვლევის სამეცნიერო გეგმა განხილული და რეცენზირებული უნდა იქნეს სამედიცინო ეთიკის კომისიის მიერ.

2 ბიოეთიკის ეროვნული საბჭო შეისწავლის კონკრეტული კვლევის ოქმებს და გასცემს დასკვნას, თუ „არ არსებობს სხვა კომპეტენტური ორგანო, რომელსაც საკითხის შესწავლის შესაძლებლობა გააჩნია" (საბჭოს დებულების მე-2 თავის, მე-5 მუხლი).

ბიოეთიკის ეროვნული საბჭო

საქართველო,
თბილისი, 0119
აკ. წერეთლის გამზ. N144

ელ-ფოსტა: giavashvili@tsmu.edu

National Council on Bioethics

144 Tsereteli Avenue
Tbilisi-0119, Georgia

E-mail: giavashvili@tsmu.edu

ბ) პირის ინფორმირება და თანხმობის მიღება მათ შესახებ ინფორმაციის კვლევაში გამოყენების შესახებ;

გ) პირის ინფორმირება კვლევის იმ შედეგების შესახებ, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ამ პირის ჯანმრთელობისთვის.

საბჭომ მისაღებად ჩათვალა კვლევაში აღწერილი ღონისძიებები, რომელთა მიზანია ზემოხსენებულ ეთიკურ საკითხებზე რეაგირება. კერძოდ, საბჭომ ჩათვალა, რომ:

ა) კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის გარანტიები, რომელიც კვლევის გეგმაშია ასახული (მასალის და მონაცემების ანონიმიზაცია, კოდირება), ადეკვატურია.

ბ) შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს ცალკეული პირისაგან თანხმობის მიღებაზე უარის თქმა, რადგან კვლევის პროცესში გამოიყენება მასალა და ინფორმაცია, რომელიც რუტინული სამედიცინო მომსახურების პროცესში შეგროვდება. ამასთან, გასათვალისწინებელია კვლევის მასშტაბი – კვლევაში გამოიყენება ქვეყნის მასშტაბით ყველა იმ პირისაგან აღებული მასალა, რომელსაც ტუბერკულოზის დაუდგინდება.

გ) კვლევის გეგმით გათვალისწინებულია იმ პირთა ინფორმირება კვლევის ისეთი შედეგების შესახებ, რომელიც შეიძლება სასარგებლო იყოს ამ პირის ჯანმრთელობისათვის. პირის იდენტიფიკაცია მოხდება კოდის გამოყენებით.

**ზემოხსენებულის საფუძველზე საბჭო ასკვნის:**

1. გაცემული იქნეს დადებითი დასკვნა და თანხმობა კვლევის ჩატარებაზე კვლევის ოქმის ფარგლებში.

3. წინადადება მიეცეს მკვლევარებს და კვლევის ხელმძღვანელს, მიაწოდოს ბიოეთიკის ეროვნულ საბჭოს ინფორმაცია კვლევის მიმდინარეობის შესახებ (კერძოდ, წარუდგინოს მას წლიური ანგარიშების ასლები) და დაუყოვნებლივ აცნობოს საბჭოს ისეთი გარემოებების თაობაზე, რის გამოც შეიძლება საჭირო გახდეს კვლევის გეგმის ვანმეორებითი ეთიკური შეფასება, აგრეთვე, წარუდგინოს საბჭოს კვლევის საბოლოო ანგარიშის ასლი.

გივი ჯავაშვილი
ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე

6 ივნისი, 2013 წელი

# 01/62071

July 04, 2013

To: Executive Director of the
National Center for TB and Lung Diseases
Mr. MamukaJaparidze

Dear Mr. Japaridze,

In response to your letter #31657 of March 19, 2013, which was regarding the use of diagnostic specimens collected from TB patients for the study titled "Compensatory Evolution and Epistasis in Multidrug-resistant Mycobacterium tuberculosis", we would like to inform you that the ministry has forwarded the study protocol for review to the National Council on Bioethics. According to the letter #67430 of June 13, 2013 sent by the head of the National Council on Bioethics Mr. GiviJavashvili, the council has reviewed provided documents and decided to grant clearance to conduct above mentioned study according to the protocol.

From our side, the Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia would like to assure the full support in running this study and express the readiness for further collaboration.

Appendices: 4 pages

Sincerely

Mariam Jashi
Deputy Minister
Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia

To: Head of health department of the
Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia
Ms. Lela Serebriakova

Dear Ms. Serebriakova

We would like to inform you that the National Council on Bioethics has reviewed the protocol of the study titled "Compensatory Evolution and Epistasis in Multidrug-resistant Mycobacterium tuberculosis" during the 83rd (second in 2013) meeting of the council on June 6, 2013.

The principal investigator of the study is Prof. Sebastien Gagneux, Swiss Tropical and Public Health Institute, while partner scientist from Georgian side is Ms. Rusudan Aspindzelashvili, head of National Reference Laboratory at the National Center for TB and Lung Diseases.

The basis of study protocol was your letter #01/25636 of March 27, 2013 (the copy is enclosed).

The National Council on Bioethics has given positive review and granted clearance to conduct the study according to the protocol.

The Clearance Certificate is attached.

Sincerely

Givi Javashvili
Head of National Council on Bioethics
June 6, 2013

# 01/25636

March 27, 2013

To: Head of National Council on Bioethics
Mr. Givi Javashvili

Address: 29, Vazha-Pshavela, Tbilisi
Tbilisi State Medical University
Building 1, 6th floor, department of family medicine.

Dear Mr. Javashvili

We would like to forward you the letter #31657 from Mamuka Japaridze, executive director of the National Center for TB and Lung Diseases, sent to the Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia on March 19, 2013. The letter was regarding the use of diagnostic specimens collected from TB patients for the study titled "Compensatory Evolution and Epistasis in Multidrug-resistant Mycobacterium tuberculosis".

We kindly request to carefully review the letter and provide recommendations regarding the study as soon as possible.

See attached 20 pages.

Sincerely

Lela Serebriakova
Head of health department of the
Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia

CLEARANCE CERTIFICATE FOR STUDY PROTOCOL

In accordance with Georgian legislation, particularly Article 107[1] of the "Health care" law, Article 16of the "European Convention on Human Rightsand Biomedicine" and its additional protocol on "Biomedical Research", and also based on Chapter 2, Paragraph 5 of the National Council on Bioethics regulation the National Council on Bioethics has reviewed the following study protocol[2].

| | |
|---|---|
| Name of the Study | Compensatory Evolution and Epistasis in Multidrug-resistant Mycobacterium tuberculosis |
| Principal Investigator | Prof. Sebastien Gagneux, Swiss Tropical and Public Health Institute |
| Partner Investigator | Rusudan Aspindzelashvili, head of National Reference Laboratory at the National Center for TB and Lung Diseases |

The National Council on Bioethics has discussed the protocol of the study during the 83rd (second in 2013) meeting of the council on June 6, 2013.

The council has studied the research plan and all attached documents

The council has taken into consideration that the study is only observational and does not involve any physical intervention. The research is the retrospective and prospective molecular epidemiology study on the samples collected during routine medical examination of TB patients.

The ethical questions associated with the study are as follows:

a) Ensuring the confidentiality of patient information;
b) Obtaining Informed consent from the patients for participation in the study;
c) Informing the patients on the results of the study, which may be beneficial for the treatment outcome;

The council concluded that the activities described in the protocol to address above points are sufficient, namely:

a) The measures to guarantee confidentiality (data anonymization, coding) are adequate;
b) Since all the samples and patient treatment data used in the study is being collected anyway through routine NTP procedures, it is acceptable not to obtain informed consent from the enrolled subjects. Additionally we have considered that the study coverage is countrywide.
c) According to the protocol, the lab results which may be beneficial for the treatment outcome will be made available for the patients. The subjects will be identified using the anonymized codes.

[1] According to the Article 107 of the "Health care" law study protocol must be reviewed and approved by the medical ethics committee

[2] The National Council on Bioethics reviews study protocols and provides conclusions if "there is no other body which is qualified more to review the subject" (Chapter 2, Paragraph 5 of the Council regulation)

Considering all above, the council concludes:

1. The study has been granted ethics clearance.
2. We recommend to the investigators to keep the National Council on Bioethics informed on the progress of the study (provide with copies of progress reports) and inform the council immediately if the changes in course of the research requires reevaluation of ethical aspects of the study. Additionally we kindly request end-of-study report to be submitted to the council.

Givi Javashvili
Head of National Council on Bioethics
June 6, 2013

Translated by: E. Odishelidze

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N130777330 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 31.07.2013 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება |
| ნოტარიუსი | დავით ფუტკარაძე |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი #95 |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 2962151 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 18574011960213 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მე, ნოტარიუსი დავით ფუტკარაძე რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ქ.თბილისში, აღმაშენებლის გამზ. №95 ვადასტურებ თარჯიმნის ეკატერინე ოდიშელიძის (დაბ.18.04.1981 მცხოვრები ქ.გურჯაანი, სარაჯიშვილის ქ.№8 პირადობის მოწმობის №გ 0174876, პირადი ნომერი 13001005321 გაცემული შს. გურჯაანის განყოფილების მიერ 2008წ.) ხელმოწერის ნამდვილობას.

I, Notary, Davit Putkaradze, the Notary bureau located at the address : # 95 Agmashenebeli Street certify the reality of signature of translator **Ekaterine Odishelidze** (born on 18.04.1981, residing in c.Gurgaani #8 Sarajishvili str . Identification Card #A 1180477, Personal Number 13001005321, issued by Department of Internal Affairs of Gurjaani, date of issue: 30.07.2008, Diplome: ab № 008873 date of issue: 2003).

მე, ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმნის სიზუსტეზე, რომელმაც დაადასტურა, რომ ჯეროვნად იცის ინგლისური და ქართული ენები და უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტეს.

I, notary warned the translator, that she is responsible for the correctness of translation. She confirmed that she knows English and Georgian languages properly and guarantees the correctness of translation.

გადახდილია საზღაური, თანახმად: სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (29 დეკემბერი, 2011წ. №507) 31 მუხლისა 2 (ორი) ლარი და ამავე დადგენილების 39–ე მუხლის პირველი პუნქტისა 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის, სულ 4 (ოთხი) ლარი.

Paid notary tariff:

ნოტარიუსი:

Notary

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N130795846 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 05.08.2013 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | დოკუმენტის ასლის დამოწმება |
| ნოტარიუსი | მეგი მაღალდაძე |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქუჩა N19 |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 2967042 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 34880195668713 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორიათას ცამეტი წლის ხუთ აგვისტოს მე, მერი ბუბაშვილს საქართველოს ნოტარიუსს მეგი მაღალდაძის შემცვლელ პირს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №19, ვამოწმებ საქართველოს ნოტარიუს დავით ფუტკარაძის მიერ 2013 წლის 31 ივლისს რ./რ. №130777330; დამოწმებულ ქართული ენიდან ინგლისურ ენაზე თარჯიმნის ეკატერინე ოდიშელიძის (პ/ნ №13001005321) ხელმოწერის დამოწმების (ნათარგმნია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 04.07.2013წელს გაცემულ წერილის პასუხზე №01/62071) ფოტო ასლის დედანთან იდენტურობას (აღნიშნული დოკუმენტი აკინძულია, ბეჭედდასმულია და შედგება თორმეტი გვერდისაგან), მასზე გადაფხეკილი, ამოშლილი და სხვა რაიმე დეფექტი არ აღინიშნება.

გადახდილია საზღაური "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" საქართველოს მთავრობის №507-ე დადგენილების 31-ე მუხლის და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად 7ლ.08თ. დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.

საქართველოს ნოტარიუს მეგი მაღალდაძის

შემცვლელი პირი მერი ბუბაშვილი